დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2010 წლის 28 დეკემბრის
№ 410 დადგენილებით

საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი და პირობები შემუშავებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის **XLI** თავის საფუძველზე და განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურსა (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) და გადასახადის გადამხდელს შორის საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესსა და პირობებს.

2. გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საგადასახადო შეთანხმების პროცესში, წარმოადგენს საგადასახადო საიდუმლოებას და მასზე ვრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მოთხოვნები.

3. ამ წესსა და პირობებში გამოყენებულ ტერმინებსა და ცნებებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსში.

მუხლი 2. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების პირობები

1. გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადების ან/და სანქციების შემცირების მიზნით შესაძლებელია გაფორმდეს სა-

გადასახადო შეთანხმება გადასახადის გადამხდელის მიერ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებული საგადასახადო დავალიანების ოდენობის ფარგლებში, მათ შორის, დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულებების ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის მიერ მითითებულ საგადასახადო პერიოდ(ებ)ზე და გადასახადების/სანქციების სახეებზე მითითებით.

2. გადასახადის გადამხდელის მიერ არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის ან/და შემცირების მიზნით შესაძლებელია გაფორმდეს საგადასახადო შეთანხმება გადასახადის გადამხდელის მიერ მითითებულ საგადასახადო პერიოდ(ებ)ზე და გადასახადების სახეებზე მითითებით.

3. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ საგადასახადო ვალდებულებაზე, რომელზეც არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე და 291-ე მუხლებით გათვალისწინებულ სანქციებზე.

4. არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის შესახებ განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო შემოწმების ჩატარებამდე ან დასრულებამდე.

მუხლი 3. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ განცხადების წარდგენა

1. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება გადასახადის გადამხდელის განცხადების შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის მომენტიდან.

2. განცხადება შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, სახელმწიფო ენაზე, უნდა ასახავდეს მონაცემებს გადასახადის გადამხდელისა და გადასახადების შესახებ, წინადადებას საგადასახადო შეთანხმების შესახებ, ამასთან, ცალკეულ შემთხვევათა შესაბამისად, შემდეგ მონაცემებს:

ა) გადასახადის გადამხდელის დასახელებას, იურიდიულ/ფაქტობრივ მისამართს, ტელეფონის ნომერსა და საიდენტიფიკაციო ნომერს;

ბ) საგადასახადო დავალიანების, მათ შორის, დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ოდენობას, დამატებით დარიცხვის საფუძვლებში აღნიშნული გადასახადის სახეებისა და პერიოდ(ებ)ის მითითებით;

გ) არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის ან/და შემცირების შესახებ საგადასახადო შეთანხმების თაობაზე შეტანილი განცხადების შემთხვევაში, არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულების ოდენობას, გადასახადის სახეების მიხედვით ვალდებულებების წარმოშობის პერიოდ(ებ)ის მითითებით;

დ) საგადასახადო შეთანხმების შესაბამისად გადასახადის გადამხდელისათვის მისაღები გადასახდელი თანხის ოდენობასა და გადახდის ვადას;

ე) გადასახადის გადამხდელის წერილობით ნებართვას შესაბამისი პირებისათვის საგადასახადო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების გაცნობის თაობაზე, ამ უკანასკნელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით;

ვ) გადასახადის გადამხდელის ან/და წარმომადგენლის ხელმოწერასა და ბეჭედს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. განცხადებას უნდა დაერთოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. შემოსავლების სამსახური რეგისტრაციიდან 10 დღეში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ წესითა და პირობებით დადგენილ მოთხოვნებთან.

5. თუ განცხადება არ შეესაბამება ამ მუხლის მოთხოვნებს, გადასახადის გადამხდელს განესაზღვრება ვადა არა უმეტეს 10 დღისა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა აღმოფხვრას ხარვეზი.

6. ხარვეზის დადგენის შესახებ გადასახადის გადამხდელს ეცნობება წერილობითი ფორმით. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია ხარვეზი აღმოფხვრას შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

7. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო შეთანხმებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში, დროულად (გონივრულ ვადაში) წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტი.

8. თუ გადასახადის გადამხდელი დანიშნულ ვადაში არ აღმოფხვრის მითითებულ ხარვეზს, შემოსავლების სამსახური, მოთხოვნის შემთხვევაში, უბრუნებს მას განცხადებას (თანდართული მასალებით).

9. შემოსავლების სამსახურის უფროსი/მისი მოადგილე, გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო შეთანხმების შემოთავაზებული პირობების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, განცხადება (თანდართული მასალებით) გაუგზავნოს საქართველოს ფინანსთა მინისტრს საკითხის საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის მიზნით, ან დაუბრუნოს გადასახადის გადამხდელს, მოთხოვნის შემთხვევაში.

10. გადასახადის გადამხდელის განცხადება არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების შესახებ არ უნდა იქნეს განხილული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 61-ე მუხლით განსაზღვრულ ინფორმაციად.

მუხლი 4. გადაწყვეტილება საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო რეგისტრაციიდან 10 დღეში უზრუნველყოფს საგადასახადო შეთანხმების გაფორმების თაობაზე შემოსავლების სამსახურიდან მიღებული მასალების (გადასახადის გადამხდელის განცხადება, თანდართული მასალებით) საქართველოს მთავრობისათვის წარდგენას.

2. განცხადებას საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ იხილავს საქართველოს მთავრობა და იღებს გადაწყვეტილებას საგადასახადო შეთანხმების გაფორმების ან გაფორმებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც ფორმდება განკარგულების სახით.

3. საქართველოს მთავრობის სხდომაზე შესაძლებელია მიწვეულ იქნეს გადასახადის გადამხდელი საგადასახადო შეთანხმების შესრულების პირობების (გადასახდელი თანხის ოდენობა და გადახდის ვადა) განსაზღვრის მიზნით.

4. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრება გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო შეთანხმების შესაბამისად გადასახდელი საგადასახადო ვალდებულებების ოდენობა და გადახდის ვადა (საგადასახადო შეთანხმების შესრულების პირობები).

5. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ეგზავნებათ გადასახადის გადამხდელსა და შემოსავლების სამსახურს.

მუხლი 5. საგადასახადო შეთანხმების გაფორმება

1. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე შემოსავლების სამსახური გადასახადის გადამხდელთან აფორმებს საგადასახადო შეთანხმების აქტს, ამავე გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესაბამისად, რომელიც ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

2. საგადასახადო შეთანხმების აქტი ფორმდება ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლებსაც ხელს აწერენ, ერთი მხრივ, შემოსავლების სამსახურის უფროსი/მისი მოადგილე და, მეორე მხრივ, გადასახადის გადამხდელი/მისი წარმომადგენელი. ამასთან, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა გადასახადის გადამხდელს, ხოლო მეორე – რჩება შემოსავლების სამსახურში.

3. საგადასახადო შეთანხმების აქტში უნდა აღინიშნოს:

ა) გადასახადის გადამხდელის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი ან სახელი და გვარი, პირადი ნომერი, ასევე სხვა რეკვიზიტები (საჭიროების შემთხვევაში);

ბ) მიღწეული შეთანხმების შინაარსი და პირობები;

გ) საგადასახადო შეთანხმების გასაჩივრების ვადა და წესი.

მუხლი 6. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შედეგები

1. საგადასახადო შეთანხმების აქტის გაფორმების შემდეგ დაუშვებელია საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდ(ებ)ზე ან/და შეთანხმებით გათვალისწინებულ გადასა-

ხად(ებ)ის სახეებზე გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო დეკლარაციით ვალდებულებების დაზუსტება.

2. დამატებით დარიცხული გადასახადების ან/და დაკისრებული სანქციების შემცირების თაობაზე საგადასახადო შეთანხმების აქტის გაფორმების შემდეგ დაუშვებელია დამატებით დარიცხვის საფუძვლებში (მათ შორის, შემოწმების აქტში ან/და სხვა დოკუმენტში) მითითებულ პერიოდ(ებ)სა და გადასახად(ებ)ის სახეებზე საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო ვალდებულებების დამატებით დარიცხვა (გარდა გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევისა).

3. არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის ან/და შემცირების თაობაზე საგადასახადო შეთანხმების აქტის გაფორმების შემდეგ დაუშვებელია საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდზე ან/და შეთანხმებით გათვალისწინებულ გადასახად(ებ)ის სახეებზე საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო ვალდებულებების დამატებით დარიცხვა (გარდა გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევისა).

4. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შემდეგ შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გადასახადის გადამხდელის მიმართ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების მიზანშეწონილობის/მიზანშეუწონლობის თაობაზე.

მუხლი 7. საგადასახადო შეთანხმების შესრულება

1. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო შეთანხმების აქტით გადასახდელად განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები შეასრულოს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრება საგადასახადო შეთანხმებით გადასახდელად განსაზღვრული, მაგრამ შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულების 0.5 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არა უმეტეს საგადასახადო შეთანხმებით გადასახდელად განსაზღვრული მთლიანი თანხის 10 პროცენტისა.

მუხლი 8. დარიცხული გადასახადების ან/და სანქციების თანხის შემცირება

1. შემოსავლების სამსახური საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს შეუმციროს გადასახადები ან/და სანქციები, თუ გადასახადის გადამხდელი საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში უზრუნველყოფს საგადასახადო შეთანხმებით გადასახდელად განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებების დაფარვას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემდეგ გადასახადის გადამხდელისათვის შესაბამისი საგადასახადო ვალდებულებების შემცირება მისი პირადი აღ-

რიცხვის ბარათებზე ხორციელდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 9. არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა

1. თუ გადასახადის გადამხდელი საგადასახადო შემოწმების ჩატარებამდე ან დასრულებამდე განაცხადებს მის მიერ არადეკლარირებული და შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებების ჯამურ ოდენობას, შემოსავლების სამსახური საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილია საგადასახადო შეთანხმების აქტით განსაზღვროს შესაბამისი პერიოდისათვის გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებები, გადასახადის სახეების მიხედვით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემდეგ გადასახადის გადამხდელისათვის შესაბამისი საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა მისი პირადი აღრიცხვის ბარათებზე ხორციელდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 10. საგადასახადო შეთანხმების გასაჩივრება

1. გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო შეთანხმება შეიძლება გაასაჩივროს, თუ საგადასახადო შეთანხმება დაიდო არაუფლებამოსილი პირის მიერ.

2. თუ გასაჩივრებულ საგადასახადო ვალდებულებაზე გაფორმებულია საგადასახადო შეთანხმება, საჩივარი არ განიხილე-

ბა საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული თანხის ნაწილში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.